საქართველოს მთავრობის

დადგენილება №537

2025 წლის 12 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებული პირების სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის №542 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებული პირების სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის №542 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/11/2022, 280120000.10.003.023753) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებული პირების სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 მუხლი:

„**მუხლი 6. გარდამავალი დებულებები**

1. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მუშაობის უწყვეტობაზე გავლენას არ ახდენს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძვლით, მიწისქვეშა სამთო-სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებული პირისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ ის მომდევნო 12 თვის განმავლობაში კვლავ დასაქმდა მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) როგორც იმავე, ისე სხვა დაწესებულებაში/ორგანიზაციაში. ამასთან, სამუშაო სტაჟის ჯამური ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან ხელახლა დასაქმებამდე პერიოდი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ვრცელდება პირებზე, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულებები შეუწყდათ 2025 წლის 1 იანვრიდან და კვლავ დასაქმდნენ მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**